Direct Debit Georgia

სატენდერო დოკუმენტაცია

სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ს/კ 204542003 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი მომსახურების** შესყიდვაზე ჯგუფში შემავალი კომპანიებისთვის.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი მომსახურება, რომელიც შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს კომპანიაში უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვას და მართვას.

მინიმალური მოთხოვნები

შრომის უსაფრთხოების კომპონენტები	საკითხები	განსახორციელებელი ქმედებები
კანონთან შესაბამისობა	შრომის უსაფრთხოების გეგმის შედგენა	შემუშავებულ ღონისძიებათა ნუსხა, რომლის მიზანია სამუშაოს შესრულებისას ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა
კანონთან შესაბამისობა	კანონთან შესაბამისობა	შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვით სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ მარეგულირებელ ნორმებთან და წესებთან კომპანიის პროცესების/ინფრასტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა
კანონთან შესაბამისობა	რისკების შეფასება /კონტროლი	• ობიექტების ინსპექტირება, საფრთხეების გამოვლენა და იდენტიფიცირება, რისკების ამსახველი დოკუმენტის შექმნა • რისკების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;
კანონთან შესაბამისობა	სასწავლო გეგმა	სასწავლო პროგრამების, ინსტრუქტაჟის შემუშავება და ჩატარება;
კანონთან შესაბამისობა	საკანონმდებლო ცვლილებებზე ინფორმირება	შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე კომპანიის მენეჯმენტის დროული ინფორმირება
სახანძრო უსაფრთხოება	სახანძრო პრევენციის სისტემები	მოხდეს ცეცხლმაქრების შემოწმება
სახანძრო უსაფრთხოება	სახანძრო საგანგებო სიტუაციაების მართვა	შეიქმნას მართვის გეგმა
ჯანმრთელობის უსაფრთხოება	პირადი დაცვის საშუალებები	უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური დამცვის საშუალებებთან დაკავშირებული პროცედურა და გამოყენების ინსტრუქციები.
ჯანმრთელობის უსაფრთხოება	პირადი დაცვის მოწყობილობები	
ჯანმრთელობის უსაფრთხოება	ფიზიკური წვდომის კონტროლი	საჭიროა შემუშავდეს სამუშაოების წარმოების პროცედურა და ინსტრუქცია.

ჯანმრთელობის უსაფრთხოება	ფიზიკური ფაქტორების გაზომვა	ტემპერატურის, ტენიანობის, განათების, ჰაერის მოძრაობის სიჩქარის ზემოქმედების განსაზღვრა თანამშრომლების ჯანმრთელობაზე და პრევენციისთვის საჭირო რეკომენდაციების გაცემა
ჯანმრთელობის უსაფრთხოება	უბედური შემთხვევების მართვა	უნდა შემუშავდეს ინციდენტის მოკვლევის და ანგარიშის პროცედურა.
საგანგებო სიტუაციების მართვა	რეაგირების შტაბი	უნდა შემუშავდეს საგანგებო სიტუაციის პრევენციის და მართვის გეგმა.
საგანგებო სიტუაციების მართვა	რეაგირების გეგმა	
ნარჩენების მართვა	ნარჩერნების წარმოქმნა	შემუშავდეს ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმაში აისახოს წარმოქმნის წყაროები
ნარჩენების მართვა	ნარჩენების შენახვა	მოხდეს დროებითი დასაწყობების ადგილის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მოწესრიგება
ნარჩენების მართვა	ნარჩენების გატანა/განადგურება	1. ნარჩენების ინვეტარიზაცია (წყაროების დადგენა, კოდების მინიჭება, რაოდენობის განსაზღვრა); 2. მომზადდეს გეგმა და საჭიროების შემთხვევაში შეთანხმდეს გარემოსდაცვის სამინისტროსთან. გეგმაში უნდა განისაზღვროს ნარჩენების მართვის კომპანია, ნარჩენების საბოლოო განთავსებით.
ნარჩენების მართვა	პასუხისმგებელი პირები	
სახიფათო მასალების მართვა	სახიფათო მასალების კლასიფიკაცია	მომზადდეს რისკების შეფასება (გათვალისწინებული უნდა იყოს სასაწყობე მეურნეობა); გაიწეროს ინსტრქუციები სახიფათო მასალების მოხმარება-განთავსებაზე. მოძიებული უნდა იქნას MSDS- ყველა სახიფათო ნივთიერებისთვის. MSDS მონაცემები უნდა გაეცნოთ მომუშავე პერსონალს.
სახიფათო მასალების მართვა	სახიფათო მასალების მოხმარება	
სახიფათო მასალების მართვა	სახიფათო მასალების შენახვა	

მოთხოვნები

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 3 (სამი) სარეკომენდაციო წერილი კონტრაქტორი კომპანიებისგან

ხელშეკრულების ვადა და ანაზღაურების პირობები

გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება 3 წლის ვადით, ანაზღაურება მომსახურების მიღების შემდგომი თვის დასაწყისში 5 რიცხვამდე.

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 25/12/2023 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.